ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 თებერვალი, კვირა, 1990 წ. № 34 (10 203) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ლიდერს 216 მილით ჩამორჩება

**ბრძელდება** მსოფლიოს გარშემო იალქნიანი ნავებით რბოლა („უიტბრედი"). მორიგი ეტაპის სტარტი, როგორც ვიუწყებოდით, ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში შედგა, ფინიში კი ურუგვაის ნაპირებთანაა დაგეგმილი. მოასპარეზეებს გასავლელი აქვთ საკმაოდ დიდი მანძილი — 3142 ქაზღვაო მილი, მაგრამ ლიდერი უკვე ცნობილია. ეს გახლავთ ახალზელანდიელთა ნავი „სტეინლაგერ 2", რომელმაც ყველა წინა ეტაპი მოიგო.

„სტეინლაგერს" მოყვება იალქნიანი ნავების მთელი ქარავანი, რომელთაგან მასთან ყველაზე ახლოსაა მეორე ახალზელანდიური ეკიპაჟი („ფიშერ ენდ პაიკელი"), მერე მოდიან: „როტმანსი" (დიდი ბრიტანეთი), „ი. ბ." (ფინეთი)...

„ფაზისი" ამ ეტაპზეც ჯერ-ჯერობით მეცხრე ადგილზეა. „სტეინლაგერ 2"-ს იგი 216 მილით ჩამორჩება, რაც ასეთი მარათონული დისტანციისთვის დიდი სხვაობა არ არის. ეტაპის ფინიში შედგება პუნტა დელ ესტეს (ურუგვაი) პორტში.

ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადა

# ოთხი ბაკურიანელი

**როგორც** ცნობილია, სსრ კავშირის ზამთრის VII სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკა ექვს სახეობაში წარსდგება (თოთხმეტიდან): სამთოსათხილამურო სპორტში, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, ფიგურულ სრიალში, ციგაობაში, ფრისტაილსა და ნატურბანში.

გვესაუბრება ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბეჟან ქუმსიშვილი:

— **გუნდს** ჩემთან ერთად ავარჯიშებს სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე, სპორტის ოსტატი მიხეილ გავა და ზელიმხან თვაური. სხვათა შორის, ხალხთა სპარტაკიადაზე, რომელიც უკრაინის ქალაქ სკოლეში ჩატარდება 20-26 თებერვალს, კობა წაქაძე საკავშირო სპორტკომიტეტის ტექნიკური დელეგატი იქნება, ხოლო მიხეილ გავა — მსაჯი. ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში ოთხი სპორტსმენით წარვდგებით. ოთხივე ბაკურიანელია. ესენი არიან: 21 წლის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი კახა წაქაძე, 22 წლის სპორტის ოსტატი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ელგუჯა ორჯონიკიძე, 22 წლის ოსტატობის კანდიდატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ვალერი მინასიანი და 17 წლის ოსტატობის კანდიდატი, ბაკურიანის სკოლადამთავრებული ალან თიბილოვი (ყველა — „დინამო").

საერთო ფიზიკური მზადების შემდეგ ნოემბერში პირველ თოვლზე გავედით კიროვსკში. იქიდან საკავშირო შეჯიბრებაზე ჩავედით ვოროხტაში, მაგრამ თოვლი არ დაგვხვდა და უარი ვთქვით შეკრებაზე გავემგზავრებულიყავით სკოლეში. ამის შემდეგ, დეკემბერში ურალს ვეწვიეთ ახალგაზრდებს შორის სამი ტრამპლინის ტურნეში მონაწილეობისათვის, წლის მიწურულში ბაკურიანში გამოვედით საქართველოს სპარტაკიადაზე. ჩვენმა მხტომელებმა სამოცდაათმეტრიან ტრამპლინზე იასპარეზეს, პირველი წაქაძე იყო, მეორე — ორჯონიკიძე, მესამე — მინასიანი. რაც შეეხება თიბილოვს იგი მზარდი სპორტსმენია, ვოროხტაში ქვეყნის პირველობაზე ჭაბუკებში ოცდამეხუთე იყო ას მხტომელს შორის, იქვე ვოროხტაში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მეოთხე შედეგი აჩვენა თავის ასაკში, სამი ტრამპლინის ტურნეში, ურალში მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა, ერთ-ერთ ტრამპლინზე კი მეორე იყო. რაც შეეხება ვალერი მინასიანს, იგი საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნდა, დღეისათვის კარგ სპორტულ ფორმაშია, სტაბილურად ხტება და მონდომებით ვარჯიშობს. გამოცდილი მხტომელია ელგუჯა ორჯონიკიძე. იგი ამ სეზონში განსაკუთრებით ინტენსიურად ვარჯიშობს და, ვფიქრობ, ყველა მონაცემი აქვს სპარტაკიადაზე პირველ ოცეულში მოხვდეს. ჩვენი მთავარი იმედი კი, ცხადია, კახა წაქაძეა. იგი ტრადიციულად საკავშირო ნაკრებში გადიოდა წვრთნას. მას სკოლეს ტრამპლინზე პირველ ხუთეულში მოხვედრა „დაუგეგმეთ". ვნახოთ, როგორ გაამართლებს იმედს ნიჭიერი მხტომელი. შეგახსენებთ, რომ სპარტაკიადაზე სულ ორმოცდაათამდე მფრინავი მოთხილამურე გამოვა. სკოლეში ჩასვლამდე (19 თებერვლამდე) დარჩენილ დროს ბაკურიანში ვატარებთ, ძირითადად 70-მეტრიან ტრამპლინზე გავდივართ წვრთნას. ჩვენს მხტომელებს ამ სეზონში 90-მეტრიან ტრამპლინზე საერთოდ არ უვარჯიშიათ. ახლა მწარედ ხუმრობენ ისინი, ალბათ არც ერთ ჩვენგანს არ მოუწევს ოდესმე ბაკურიანის დიდ ტრამპლინზე, ამ „სურამის ციხეზე", ფეხის შედგმაო! მართლაც, სავალალო ამბავია.

„ლელოს" კორ.

# თბილისელთა კარგი შანსი

**როგორც** ვიუწყებოდით, I ლიგის წყალბურთელთა პირველი წრის პირველ ტურში თბილისის „უნივერსიტეტმა" ვოლგოგრადში ხუთი შეხვედრიდან ამდენივე ქულა მოაგროვა.

დღეს თბილისელი წყალბურთელები II ტურის შეხვედრებს ვაკის საცურაო აუზში უმასპინძლებენ. ისინი შეხვდებიან კიშინიოვის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდს, კაუნასის „ბანგასა" და ტაშკენტის „მეხნატის" წარმომადგენლებს.

ახლა სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — 10 ქულა, „ბა... ...აკ (მინსკი) — 8-8, „სინთეზი" (ყაზანი) — 7, „აზოვი (მარიოპული) — 6, „უნივერსიტეტი", „მაიაკი" (მოსკოვი) — 5-5, პამირი (დუშანბე) — 4, „ბალტიკა" (ლენინგრადი), კიშინიოვის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლა 3-3, „მეხნატი" — 1, „მედეო" (ალმა-ათა) — 0.

როგორც ხედავთ, თბილისელები სატურნირო ცხრილის შუაში იმყოფებიან და ახლა მათ, როგორც მასპინძლებს, კარგი შანსი აქვთ ...ათა ლიდერთა შორის დამკვიდრდნენ.

# დებიუტი ფრისტაილში

**გვესაუბრება** რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ფრისტაილში, სპორტის ოსტატი ხამველ ანდრიასიანი.

— **როგორც** ცნობილია, ფრისტაილი სულ რამდენიმე წელიწადია

იხ. მე.2 გვ



**ბუშინ** დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატი, რომელსაც თბილისის ვაკის აუზი მასპინძლობდა. შეჯიბრებებში, ტრადიციულად მოასპარეზე გუნდებთან ერთად, პირველად ვიხილეთ გორისა და ბორჯომის წარმომადგენლები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას თბილისელმა სპორტსმენებმა აჯობეს.

ამ სურათზე აღბეჭდილია ვაუთა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებული თბილისელი ზაზა ზურაბაშვილი.

შეჯიბრების ანგარიში იხ. „ლელოს" უახლოეს ნომერში.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# არმიელთა უპირატესობით

**მოსკოვი.** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა, თბილისის „დინამოს" უმასპინძლა. გაიმარჯვეს არმიელმა კალათბურთელებმა — 113:63 (55:23).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 17 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 32 | 28 | 4 | 60 |
| „დინამო" (მ.) | 32 | 24 | 8 | 56 |
| „ბუდიველ." (კ.) | 34 | 21 | 13 | 55 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 19 | 15 | 53 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 33 | 15 | 18 | 48 |
| „კალევი" (ტალ.) | 29 | 17 | 12 | 46 |
| რტი (მინსკი) | 32 | 12 | 20 | 44 |
| ასკ (ალმა-ათა) | 27 | 15 | 12 | 42 |
| „სპარტ". (ლენ.) | 30 | 12 | 18 | 42 |
| „დინ." (თბ.) | 29 | 12 | 17 | 41 |
| „შახტ." (დონ.) | 32 | 9 | 23 | 41 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 32 | 5 | 27 | 37 |

რაგბი: გზა წინსვლისა

# არჩევანი გაკეთდა

„**ლელო**" იუწყებოდა, რომ 31 იანვარს თბილისის სარაგბო კლუბ „შევარდენში" გამართულმა საქართველოს რაგბის კავშირის საგანგებო სხდომამ დაადგინა, „1990 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გაიმართოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ყველა ქართული გუნდის მონაწილეობით".

მაგრამ ერთია დადგენილების მიღება და სხვა — მისი ხორცშესხმა. მით უფრო, თუ ამ უკანასკნელს არაერთი მიზეზი უშლის ხელს. ზოგი მათგანი (მაგალითად, ოთხი ქართული გუნდის სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობა) ობიექტურია, ზოგიც — პირველ ყოვლისა, „მამლუქთა" ერთი წყების არასერიოზული, მედიდური დამოკიდებულება საშინაო შეჯიბრებებისადმი, — სუბიექტური.

უეჭველია, ეროვნული ჩემპიონატის დამკვიდრებისა და მოღონიერების კვალად სუბიექტურ მიზეზებს თანდათან მოევლება და დღევანდელი „მამლუქების" მსოფლმხედველობაც ნელ-ნელა შეიცვლება. აი, საშინაო შეჯიბრებების გამართვის განრიგის მისადაგება სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდართან კი უფრო ძნელი საქმეა.

ასეა თუ ისე, რაგბის კავშირმა გუნდების სამსჯავროზე ეროვნული ჩემპიონატის გამართვის ორი სისტემა გამოიტანა. ერთის თანახმად, 12 გუნდს ორ წრედ, მიმოსვლით, 22 ტურად, აპრილიდან ნოემბრამდე შეუსვენებლივ უნდა ესპარეზა, მეორე სისტემით კი შეჯიბრება მრავალეტაპიანი უნდა ყოფილიყო და გვიან შემოდგომით ფინალური შეხვედრებით დამთავრებულიყო.

შემოთავაზებული წინადადებების ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასების შემდეგ გუნდებმა და კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა მეორე, მრავალეტაპიან სისტემას დაუჭირეს მხარი. ამის გათვალისწინებით შედგა და დამტკიცდა ეროვნული ჩემპიონატის დებულება და თამაშთა განრიგი.

რაკილა დღესდღეობით ეროვნული ჩემპიონატების მოწყობა ახალი საქმეა, საფიქრებელია, რომ მორაგბეთა გამოცდილება სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებსაც გამოადგებათ. გარდა ამისა, იმის გამო, რომ კავშირის სხდომებს, მისი წესდების თანახმად, მხოლოდ მცირერიცხოვანი საზოგადოება ესწრება, არც სხვა მორაგბეებისა და გულშემატკივრებისათვის უნდა იყოს ინტერესმოკლებული ის მოსაზრებანი, რომელთა გამოც მეორე სისტემას მიენიჭა უპირატესობა.

მაშ ასე, ჩვენს პირობებში რით სჯობს მრავალეტაპიანი სისტემა სპორტულ კლასიკად აღიარებულ ორწრიანს?

რითა და იმით, რომ ჩემპიონატს მთელი შეჯიბრების მანძილზე უნარჩუნებს ხიბლსა და ეშხს და მას გამორჩეული — ფინალური შეხვედრით აბოლოებს.

კიდევ იმით, რომ თორმეტი მონაწილიდან ოთხი დანარჩენ რვაზე საგრძნობლად ძლიერია. თუ ამათ ორ წრედ ვათამაშებთ, ულიმღამო და უაზრო შეხვედრა მრავლად იქნება, რაც მაყურებელსა და სუსტ გუნდებს შეჯიბრებაზე გულს აუცრუებს, „მამლუქებს" კი მეტად გაადიდგულებს. რაც შეეხება მრავალეტაპიან სისტემას, აქ შეჯიბრების სტარტზე, ქვეჯგუფებში, შესაძლებელია ძლიერის მიერ სუსტის „დაბრიყვება", მაგრამ უკვე მომდევნო ეტაპზე ძლიერებისა და სუსტების გზები გაიყრება და ტოლი ტოლს ეთამაშება მხოლოდ..

გასათვალისწინებელია შეჯიბრების ხანგრძლივობაც. „მამლუქებს" სსრ კავშირის ჩემპიონატში ისედაც 30-32 შეხვედრა უწევთ. თუკი ამას ორწრიანი შეჯიბრების 22 თამაშს დავუმატებთ, სეზონში 52-54 თამაში გამოვა. მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ რაგბის კვირაში ერთხელ თამაშობენ, წელიწადში კი სულ 52 კვირაა. თუ ჩვენს „მამლუქებს" შინაც ორ წრედ ვათამაშებთ, მაშინ მათ ამ 52-54 თამაშის გამართვა არა 52, არამედ 36 კვირაში მოუწევთ, რადგანაც სწორედ ამდენ ხანს გრძელდება ჩვენში სარაგბო სეზონი, თანაც მათ ივლის-აგვისტოს პაპანაქებაშიც მოუხდებათ ასპარეზობა, რაც ქართული სარაგბო საზოგადოებრიობის აზრით, სულაც არაა საჭირო. რაც შეეხება კარგად გათვლილ მრავალეტაპიან სისტემას, მისი მეშვეობით შესაძლებელია

იხ. მე.2 გვ

**განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს**

# სპეციალისტი — მთავარი პრობლემა

**ზრომით** კოლექტივებში მეთოდისტების გამოყოფა, სასწავლო დაწესებულებებში ფიზკულტურის გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა და სხვა, სპეციალისტთა რაოდენობის გაზრდასაც მოითხოვს. ცხადია, რომ მხოლოდ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი და აფხაზეთის უნივერსიტეტი საჭირო რაოდენობის სპეციალისტებს ვერ მოამზადებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია კვლავ გაიხსნას ფიზიკური აღზრდის სპეციალობები ქუთაისის, ბათუმისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია პედაგოგიურ ინსტიტუტებში რომელიმე პროფესიას მეორე სპეციალობად დაემატოს ფიზიკური აღზრდა (მაგალითად, დაწყებითი განათლებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობა).

ქუთაისში საჭიროა გაიხსნას მწვრთნელთა სკოლა ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში კადრების პრობლემის გადაწყვეტას.

ცნობილია, რომ ჩვენში სპორტული ინვენტარისა და ფორმის უკმარისობაა, ხოლო რაც გვაქვს, ისიც ძალიან დაბალი ხარისხისაა. ამდენად კონცეფციაში ამ საკითხის გადაჭრის გზებიც უნდა აისახოს.

სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო (სპორტული ბაზებისა და კადრების უკმარისობას ვგულისხმობ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზკულტურის გაკვეთილები უნდა დაიგეგმოს კვირაში 4 საათის ოდენობით. ამასთან, მე-5-მე-6 კლასებიდან გოგოებისა და ჭაბუკების ჯგუფები ცალ-ცალკე უნდა იყოს.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლების ჩატარების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ არსებული სისტემა არასრულყოფილია. ჩათვლის მიღების შემთხვევაში აბიტურიენტის მიერ საგამოცდო საგნებში დაგროვილ ქულათა ჯამს უნდა დაემატოს 0,5 ქულა. ასევე მიგვაჩნია, რომ ყველა ნორმატივის ჩაბარება ერთ დღეს უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კარგ წამოწყებას კვლავ ფორმალური ხასიათი ექნება.

საკონტროლო ნორმატივებში საჭიროა შევიტანოთ 3-4 სახეობა, ისეთები, რომლებიც ახალგაზრდის ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარების დონეს (ძალა, გამძლეობა, სისწრაფე) განსაზღვრავენ, მაგალითად, რბენა 60 და 1000 მეტრზე, წოლბჯენში მკლავების მოხრა-გაშლა და 25 მეტრზე ცურვა.

III განაყოფის (უმაღლეს სასწავლებლებში) მე-6 პუნქტში, რომელიც ეხება კათედრის სახელწოდების შეცვლას, შემსრულებლებში უნდა დაემატოს ჯანდაცვის სამინისტრო (იმ შემთხვევაში თუ პუნქტი ნაწილობრივ მაინც დაექვემდებარება ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის კათედრას).

ამავე განაყოფის მე-8 პუნქტს უნდა დაემატოს ჩათვლები ზამთრის სესიებზე, ხოლო დამამთავრებელ კურსზე გამოცდა სახელმწიფო გამოცდას გაუტოლდეს.

X განაყოფს დაემატოს მე-7 პუნქტი: „ყველა სახის სასწავლებლებში მკვეთრად გაუმჯობესდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა სამედიცინო შემოწმება“. შემსრულებელი ჯანდაცვის სამინისტრო.

ჯანდაცვის სამინისტროს ასევე უნდა დაევალოს მეთოდური რეკომენდაციების დამუშავება სპეციალური სამედიცინო ჯგუფის მასწავლებლებისთვის და განისაზღვროს ფიზიკური აღზრდის მეცადინეობებიდან დროებით განთავისუფლების დაავადებათა ნაირსახეობა და ხანგრძლივობა.

**ანზორ ჯიშკარიანი,**
**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.**

• • •

ავტორის თხოვნით ჰონორარი სეოკ-ის ფონდში ჩაირიცხება.

# არჩევანი გაკეთდა

(დასასრული)

ოდნავ მაინც შევუმციროთ დატვირთვა „მამლუქებს“ და საშინაო ჩემპიონატში 22-ის ნაცვლად 15 მატჩში ვათამაშოთ.

იმისათვის, რომ შეჯიბრებამ არ დაკარგოს ინტერესი, მრავალეტაპიან სისტემაში არაერთი მნიშვნელოვანი წვრილმანია „ჩატანებული“: იმისათვის, რომ ძლიერებმა ვერ დაარიგონ ქულები, ფინალი იმ გუნდის მოედანზე დაინიშნება, ვისაც მთელს ჩემპიონატში უკეთესი მაჩვენებლები ექნება. ასევე შეირჩევა ე. წ. მცირე ფინალის (მესამე ადგილისათვის შეხვედრის) გამართვის ადგილიც. ჩემპიონისათვის კუთვნილი გარდამავალი თასის გარდა, დაწესდა სანუგეშო ჯილდოებიც — ლანგარი (მესამე ადგილისათვის) და ლარნაკი (მეხუთესათვის). ამ უკანასკნელის დაწესებით, უეჭველია, შინაურ. არა-„მამლუქთა“ გუნდებს



დამატებითი სტიმული გაუჩნდებათ.

შეჯიბრების გასამწვავებლად შემოღებულია ქულათა დარიცხვის ის სისტემა, რომელიც წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე, რაგბიში მებრძოლი სულისკვეთებით ცნობილ ქვეყნებში გამოიყენება. მოგებისათვის გუნდს 4 ქულა ენიჭება, თამაშის ფრედ დამთავრებისათვის — 2 ქულა. აი, წაგება კი ორგვარია. თუ გუნდი 6 ან ნაკლები ბურთით დამარცხდება (რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თამაშის ბოლომდე ინარჩუნებდა მოგების ან გაყაიმების შანსს), მას ქულა ეწერება. 7 ან მეტი ბურთით (ე. ი. უიმედოდ) წაგებისათვის კი გუნდის მონაგარს არაფერი ემატება. წაგებების ამგვარი დაყოფა სუსტ ან ანგარიშში ჩამორჩენილ გუნდს აიძულებს, პირველი წარუმატებლობისთანავე ხელები არ ჩამოუშვას და იმ ერთი, ხშირად გადამწყვეტი, ქულისათვის ბოლომდე იბრძოლოს.

სისტემების შეფასების დასასრულ შევნიშნოთ, რომ რაკილა ბოლო დრომდე უცხოური რაგბის შესახებ ერთობ მწირი ინფორმაცია გვაქვს, ჩვენი სარაგბო თვალსაზრისი კი მხოლოდ უმეცარ, მაგრამ ბრძანების მოყვარულ „ცენტრთან“ ურთიერთობის გავლენით ყალიბდებოდა, ამიტომ, როგორც დღეს ირკვევა, ბევრ რამეზე რაგბისთვის უცხო, სპორტის სხვა სახეობებისაგან ნასესხები, შეხედულებანი გვქონია. სახელდობრ, სსრ კავშირის გარდა, თურმე არსად შეურაცხავთ დოგმად ორწრიანი, ჭეშმარიტად მარათონული ჩემპიონატები, მოთამაშეებს თამაშს რომ აყირჭებს და სულის მოსათქმელად გარიგებებისაკენ უბიძგებს.

უცხოეთში ყველგან ერთობ გამოზომილი, ზომიერი საშინაო ჩემპიონატები აქვთ. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა სამოყვარულო რაგბიში. ჩემპიონატების გარდა ეწყობა უამრავი ტრადიციული მატჩი, თამაშდება მცირე თასები. მოკლედ, ჩემპიონატი პროვინციათა და საკლუბო დონეზე უმთავრესი შეჯიბრება კია, მაგრამ იგი სულაც არ უშლის ხელს სხვა თამაშების გამართვას.

ამისაკენ ისწრაფვის საქართველოს რაგბის კავშირიც. პირველი ნაბიჯი ორი წლის წინ გადაიდგა, როცა ეროვნული საშვიდკაცო შეჯიბრების გამართვა დაწესდა. ამ ტურნირის გარდა, წელს განზრახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოეწყოს რამდენიმე სტუდენტური „შვიდკაცა“, დაწესდეს რაიმე ტრადიციული თასი (მაგალითად, ვერესგაღმა და ვერესგამოღმა უმაღლესი სასწავლებლების ნაკრებთა შორის გამარჯვებულისათვის), მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი მაინც ამერ-იმერის პირველი შერკინება იქნება, რომელიც 26 მაისს, დღის 3 საათზე დაიწყება თბილისში, ვაკის („ლოკომოტივის“) სტადიონზე. ამ მატჩში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაკრებები შეეჯიბრებიან ერთმანეთს ძვირფასი გარდამავალი თასისათვის.

ბოლოს, გაგაცნობთ წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის სისტემასა და პირველი ეტაპის თამაშთა განრიგს. როგორც მთელს მსოფლიოში მიღებული, მატჩები, ჩვეულებრივ, უქმე დღეებში მოეწყობა. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ „მამლუქთათვის“, რომლებიც სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობის გამო, სხვა გუნდებს ხშირად სადაგ დღეებში ესტუმრებიან (თუმცა მათ ყოველთვის უქმე დღეს უმასპინძლებენ).

**პირველი ეტაპი** (ორ წრედ, 10 ტურად)

„ა“ ქვეჯგუფი: „აია“ (ქუთაისი), „მიმინო“ (თბილისი), „შევარდენი“ (თბილისი), ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი), ჭიათურის გუნდი, სამხატვრო აკადემია (თბილისი);

„ბ“ ქვეჯგუფი: „ელმავალი“ (თბილისი), „აისი“ (ქუთაისი), ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი), უნივერსიტეტი (თბილისი), რაგბის ასოციაციის (რსა) გუნდი, წყალტუბოს გუნდი.

**მეორე ეტაპი** (ორ წრედ, სექტემბრიდან).

„ა“ და „ბ“ ქვეჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გაერთიანდებიან უძლიერესთა ოთხეულად და ორ-ორჯერ ეთამაშებიან იმათ, ვისაც ქვეჯგუფში არ შეხვედრიან. ამას სჭირდება 4 ტური. კლასიფიკაცია — 14 ტურის შედეგების მიხედვით.

ქვეჯგუფებში მესამე-მეექვსე ადგილებზე დარჩენილი რვა გუნდი გაერთიანდება სანუგეშო ჯგუფად და უძლიერესთა ოთხეულის ანალოგიით გამართავს კიდევ 8 ტურს. კლასიფიკაცია — 18 ტურის შედეგების მიხედვით.

**მესამე ეტაპი.**

ოთხეულში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ ფინალს, მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულები — მცირე ფინალს.

**თამაშთა განრიგი**

„ა“ ქვეჯგუფი: 31.03 „აია“ — აკადემია; 1.04 „შევარდენი“ — სტუ; 3.04 „აია“ — „მიმინო“; 8.04 „მიმინო“ — ჭიათურა; 15.04 სტუ — აკადემია, ჭიათურა — „შევარდენი“; 21.04 აკადემია — „შევარდენი“; 22.04 „მიმინო“ — სტუ; 24.04 აკადემია — „მიმინო“; 26.04 ჭიათურა—„აია“; 28.04 „აია“ — „შევარდენი“; 29.04 ჭიათურა — სტუ; 3.05 „მიმინო“ — აკადემია; 6.05 სტუ — ჭიათურა; 10.05 „შევარდენი“ — „აია“; 13.05 „აია“ — სტუ, ჭიათურა — აკადემია, „მიმინო“ — „შევარდენი“; 20.05 „აია“ — ჭიათურა, „შევარდენი“ — აკადემია; 23.05 სტუ — „მიმინო“; 2.06 „შევარდენი“ — „მიმინო“; 3.06 აკადემია — ჭიათურა; 4.06 სტუ — „აია“; 10.06 აკადემია — სტუ, „შევარდენი“ — ჭიათურა; 16.06 აკადემია — „აია“; 17.06 ჭიათურა — „მიმინო“, სტუ — „შევარდენი“; 27.06 „მიმინო“ — „აია“.

„ბ“ ქვეჯგუფი: 31.03 ზოოვეტი — თსუ, „ელმავალი“ — წყალტუბო; 1.04 „აისი“ — რსა; 3.04 „აისი“ — „ელმავალი“; 15.04 წყალტუბო — თსუ, ზოოვეტი — რსა; 22.04 „აისი“ — ზოოვეტი, რსა — წყალტუბო; 26.04 თსუ — „ელმავალი“ 28.04 რსა— „ელმავალი“; 29.04 თსუ — ზოოვეტი; 2.05 წყალტუბო — „აისი“; 5.05 „აისი“ — თსუ, ზოოვეტი — წყალტუბო; 12.05 „ელმავალი“ — ზოოვეტი; 13.05 რსა — თსუ; 14.05 „აისი“ — წყალტუბო; 16.05 „ელმავალი“ — რსა; 19.05 ზოოვეტი — „ელმავალი“; 20.05 წყალტუბო — რსა; 24.05 თსუ —„აისი“; 2.06 რსა — „აისი“; 3.06 წყალტუბო — ზოოვეტი; 5.06 „ელმავალი“ — თსუ; 9.06 თსუ — წყალტუბო, რსა — ზოოვეტი; 15.06 წყალტუბო — „ელმავალი“; 16.06 თსუ — რსა; 17.06 ზოოვეტი — „აისი“; 26.06 „ელმავალი“ — „აისი“.

# დებიუტი ფრისტაილში

(დასასრული)

შემოვიდა ჩვენს რესპუბლიკაში და აი, უკვე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამოვდივართ. შეჯიბრება უკრაინის ქალაქ სკოლეში გაიმართება ცნობილ სათხილამურო ბაზა „ტისოვეცში“, სადაც, როგორც გვითხრეს, ყველაფერი მზადაა დიდი სტარტისათვის, მათ შორის, ცხადია, სპარტაკიადის სიმბოლური თილისმა — ყოჩაღი ზაპოროჟიელი კაზაკი. მხოლოდ ერთს შიშობენ შეჯიბრების ორგანიზატორები — უხვთოვლიანობისაგან აქ ჯერ კიდევ ძალიან შორსაა, მთელს უკრაინის ტერიტორიაზე თბილი ამინდი დგას. ასეა თუ ისე, სპარტაკიადისათვის ენერგიულად ვემზადებით. ჩვენს ნაკრებში სამი სპორტსმენია — სამივენი სპორტსაზოგადოება „მართვეს“ წევრები არიან, ოსტატობის კანდიდატები: 20 წლის ლაშა გავა — ბაკურიანის სათხილამურო ბაზის თანამშრომელი, მისი თანატოლი აშოტ პაპიკიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი და 15 წლის კობა კოზანაშვილი — ბაკურიანის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე. უნდა ითქვას, რომ ეს მათთვის ფაქტიურად პირველი ოფიციალური შეჯიბრება იქნება, და, ცხადია, დიდ იმედებს არ ვამყარებთ მათ წარმატებით გამოსვლაზე. სურვილი გვაქვს, პირველ ოცეულში მოვხვდეთ (სტარტზე სულ 40-მდე მონაწილე გამოვა). ნოემბერში ჩვენმა სპორტსმენებმა სავალდებულო სპეცმომზადება ჩააბარეს თხილამურებითა და ბატუტზე ხტომაში. ოქტომბერში შეკრებას გავდიოდით თბილისში (ბატუტზე), ნოემბერში ბაკურიანის 70-მეტრიან საზაფხულო ტრამპლინზე ვვარჯიშობდით. დასასრულს დავძენ, რომ სამივე სპორტსმენი ნიჭიერია, მონდომებულად ვარჯიშობს და საკმაო ტექნიკაც აქვს.

**ოთარ ოთარაშვილი.**

# ავსტრია — იუგოსლავიის გავლით

**ნატურბანი** — საციგაო სპორტი ბუნებრივ ტრასაზე. ზამთრის სპორტის ამ ახალი სახეობის შესახებ ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ დავწერეთ. დიახ, მას საკმაოდ მცირე ისტორია აქვს, ფაქტიურად ორი-სამი წელიწადი. მიუხედავად ამისა, საქართველოს სპორტსმენებმა უკვე პირველი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს და ამჟამად ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის ემზადებიან.

გუშინ შევხვდით ავსტრია-იუგოსლავიის ტურნედან დაბრუნებულ სპორტის ოსტატ ფელიქს ქუმარიტაშვილს — საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ნატურბანში. საუბარი ძირითადად შეეხო მზადებას ხალხთა სპარტაკიადისათვის და, ბუნებრივია, ავსტრიასა და იუგოსლავიაში ალახან დამთავრებულ დიდ ასპარეზობებს.

— ჩვენი ნაკრები — გვითხრა **ფ. ქუმარიტაშვილმა** — ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში შეუდგა მზადებას ზამთრის სპორტული სეზონის ამ პასუხსაგები შეჯიბრებისათვის. პირველი შეკრება ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ზლატოუსტში გვქონდა — სწორედ იმ ტრასებზე, სადაც 5-9 მარტს ხალხთა სპარტაკიადის შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს. აღსანიშნავია, რომ ამ 15-დღიან შეკრებას ქვეყნის ნაკრებთან ერთად გავდიოდით. იმავე ვადებში ზლატოუსტში გაიმართა ჩელიაბინსკის ოლქის ღია პირველობა, რომელშიც ქვეყნის მთავარ გუნდთან ერთად მივიღეთ მონაწილეობა. სეზონის დებიუტი წარმატებითი გამოდგა — ჩვენმა ორადგილიანმა ციგამ 17 წლის ბაკურიანელი მოსწავლეების, სპორტის ოსტატების თენგიზ აკოფოვისა და ზაზა ჯიჩოევის („მართვე“) მონაწილეობით საპატიო მესამე ადგილი მოიპოვა. დეკემბერში გადავინაცვლეთ ირკუტსკის ოლქის ქალაქ ბრატსკში, სადაც სსრ კავშირის თასის გათამაშება გველოდა. ზემოხსენებულმა წყვილმა ამჯერად ქვეყნის უძლიერეს ეკიპაჟებთან ჭიდილში მეექვსე შედეგი აჩვენა. ვიასპარეზეთ აგრეთვე ერთადგილიან ციგებში — 22 წლის ბაკურიანელმა ოსტატობის კანდიდატმა ბადრი ჯანგობეგომ („მართვე“) მერვე შედეგით დაამთავრა დისტანცია, რაც გარკვეულ მიღწევად მიგვაჩნია. იანვარი ძირითადად ისევ ზლატოუსტში — სასპარტაკიადო ტრასებზე — გავატარეთ. ინტენსიური ვარჯიში დამთავრდა შესარჩევი შეჯიბრებით ევროპის იუნიორთა პირველობისათვის. აკოფოვ-ჯიჩოევის წყვილმა აქ მეოთხე ადგილი მოიპოვა, რაც იუნიორებში მეორე შედეგი გახლდათ. რაც შეეხება ჯანგობეგოვს, იგი ერთადგილიანებში მეთერთმეტე იყო. დაკომპლექტებული ნაკრები იუგოსლავიაში გაემგზავრა ევროპის პირველობაზე, მაგრამ... გზად ავსტრიაში „გაუხვია“. საქმე ისაა, რომ აქ, ქალაქ ვალდემზეეში დიდი შეჯიბრება — ავსტრიის ღია პირველობა იყო დანიშნული. ასპარეზობაში ევროპის ბევრმა საუკეთესო ეკიპაჟმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ნატურბანში ისეთი ძლიერი ქვეყნებისამ, როგორნიც არიან მასპინძლები და, უპირველეს ყოვლისა, იტალია. მეექვსე ადგილი — ასე დამთავრდა ჩვენი წყვილის გამოსვლა ავსტრიაში. 8-11 თებერვალს უკვე ევროპის პირველობაზე ვასპარეზობდით იუგოსლავიის ქალაქ ჟელეზნიკში. ცხადია, მღელვარება დიდი იყო, რადგან ეს საქართველოს წყვილისათვის პირველი გამოსვლა იყო ასეთ დიდ შეჯიბრებაში. ამიტომ მისი მეათე ადგილი ჩვენ სავსებით დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს წინ იყვნენ მხოლოდ იტალიელები და ავსტრიელები (ოთხ-ოთხი ეკიპაჟი) და საბჭოთა წყვილი — გამოცდილი მოსკოველი სპორტის ოსტატები ევგენი იაკუხინი და სერგეი კვასნიკოვი, რომლებთანაც სულ ცოტათი წავაგეთ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სპორტსმენები ქვეყნის სპარტაკიადას მზადყოფნაში ხვდებიან. გარდა ზემოდასახელებული სამეულისა, ზლატოუსტში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავს აგრეთვე 18 წლის ბაკურიანელი სპორტსმენი ზაზა ჯანგობეგოვი („მართვე“). სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ სპორტსაზოგადოება „მართვე“ დიდად უწყობს ხელს სპორტის ამ ახალი სახეობის განვითარებას. სამწუხაროდ, ნატურბანი მხოლოდ „მართვეშია“ კულტივირებული. ეგებ სხვა საზოგადოებებიც დაინტერესდნენ ზამთრის ამ სახეობით — „დინამო“, „შევარდენი“? ნატურბანი ხომ ძალზე ხელმისაწვდომი სპორტია ჩვენი მთიანი რესპუბლიკის რეგიონებისათვის, კერძოდ ბორჯომის, მესტიის, ლენტეხის რაიონებისათვის, აგრეთვე აჭარისა და რაჭისათვის. დღეისათვის თუ ნატურბანს ჩვენში თხუთმეტამდე სპორტსმენი მისდევს, გვინდა ეს რიცხვი მომდევნო სეზონისათვის ასამდე გავზარდოთ.

ალბათ ნაკრების უფროსი მწვრთნელისაგან პროგნოზიც გაინტერესებთ? დასამალი არაფერი გვაქვს: წყვილებში მესამე-მეექვსე ადგილს ვვარაუდობთ, ხოლო ერთეულებში პირველ ათეულში მოხვედრას. სამწუხაროდ, მზადების პერიოდში დეკემბერში ბედმა გვიმტყუნა — ჩვენი ყველაზე გამოცდილი სპორტსმენი, 27 წლის ოსტატობის კანდიდატი ედუარდ ყორომვილი ბრატსკში ქვეყნის თასის გათამაშების წინ სერიოზულად დაშავდა და რთული ოპერაცია გადაიტანა. არადა მისი მონაწილეობით ჩვენ შეგვეძლო კიდევ ერთი, ალბათ უფრო ძლიერი წყვილის გამოყვანა.

**ოთარ ნოზაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა რესპუბლიკური პირველობა

# მოულოდნელი გამარჯვება

**სენსაციურ** ამბის მოწმენი გახდნენ ამ დღეებში ბორჯომელი და აქ დასასვენებლად ჩამოსული კრივის მოყვარულები, რომლებიც საქართველოს ჭაბუკთა პირად-გუნდური ჩემპიონატის ორთაბრძოლებს ესწრებოდნენ. ასპარეზობას წინ უძღოდა ზონალური პირველობები, რომელთა ფინალისტებმაც ამ საკურორტო ქალაქში მოიყარეს თავი. 15-16 წლის სპორტსმენებმა (პირველობაში სწორედ ამ ასაკისანი მონაწილეობდნენ) საკმაოდ მაღალი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, განსაკუთრებით ისახელეს თავი პერიფერიის, კერძოდ კი ხობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა და გუნდური პირველობაც მოიპოვეს. ეს უნიკალური შემთხვევაა ჩვენი კრივის ისტორიაში. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელთა კოლექტივს (უფროსი მწვრთნელი ტ. ვერულაშვილი, მწვრთნელები გ. ღლონტი, ი. მატკავა, დ. ყურაშვილი). გამარჯვებულებმა მოიპოვეს 7 პირველი, 2 მეორე, 1 მესამე ადგილი და უკან ჩამოიტოვეს თბილისის, ქუთაისის, ფოთის, მესტიისა და კრივის სხვა აღიარებული ცენტრების წარმომადგენლები. მათ 62,5 ქულა დააგროვეს, მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის (51,5), გორის (25), ქუთაისის (23,5), ფოთის (18), სამხრეთ ოსეთის (17,5), გურჯაანის (14), მესტიისა (12) და აჭარის (8) გუნდები.

როგორც ხედავთ, აქაც ერთობ უჩვეულო სურათია, კერძოდ ის, რომ გორის კოლექტივი საპატიო მესამე ადგილზეა დამკვიდრებული. და ეს მაშინ, როცა გორელებს ნორმალური წვრთნის ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ (მათ დარბაზს ვგულისხმობთ. ფაქტიურად ეს ვიწრო ოთახია, სადაც რინგის დადგმის საშუალებაც კი არ არის), მაგრამ აქაური მწვრთნელების ა. შოშიაშვილისა და გ. ქარელიძის ენერგიული მცდელობით გორელი ჭაბუკები მაინც აღწევენ წარმატებებს რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელებზე. ერთკვირიანი ბრძოლების შედეგად, წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: 44 კგ — ხობელი ბ. მანჯავიძე, 46 კგ — თბილისელი თ. კალანდაძე, 48 კგ — ხობელი ს. ლომთათიძე, 50 კგ — მესტიელი ლ. იოსელიანი, 52 კგ — გ. რუსია, 54 კგ — ი. ფილია, 57 კგ — ქ. გოჩაშვილი, 60 კგ — ვ. ცხადაძე, 63 კგ — თ. ჩიქობავა (ყველა — ხობი), 66 კგ — თბილისელი ე. თაყაიშვილი, 70 კგ — ვ. ქოქოევი, 74 კგ — ი. ძაგოევი (ორივე — ცხინვალი), 79 კგ — დ. ჯანაშვილი, 85 კგ — გ. კანდელაკი (ორივე — გორი), +85 კგ — საჩხერელი ვ. გოგავა.

# ერთ-ერთი ახალგაზრდული

**ჩვენი** რესპუბლიკის გუნდები ახალი საფეხბურთო სეზონისათვის ემზადებიან, ამ ეტაპზე თითოეულ გუნდს თავისი ამოცანები და პრობლემები აქვს, რომელთა გადაწყვეტასაც დროის დარჩენილ მონაკვეთში გაორკეცებული წვრთნა სჭირდება. გულშემატკივრებს აინტერესებთ, სად არიან რესპუბლიკის მოწინავე გუნდები, რა ცვლილებებია მათ შემადგენლობებში, როგორ ხვდებიან ახალ სეზონს...

ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარია ბათუმის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **შოთა ჭეიშვილი**, რომელიც ამ დღეებში სპორტის სასახლეში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ხელმძღვანელობდა ბათუმის „დინამოს". ჩვენი შეხვედრა სწორედ ამ ტურნირის დამთავრების შემდეგ შედგა.

— საუბარი მინდა ახლახან დამთავრებული ტურნირით დავიწყო. მოგეხსენებათ, მზადების ამ ეტაპზე, ისევე, როგორც ყველა კოლექტივს, პრობლემები ჩვენც საკმაოდ დაგვიგროვდა, მაგრამ, როცა კოოპერაციული კლუბის „მრეტების" მოწვევა მივიღეთ, არც დავფიქრებულვართ. როგორი ხარვეზებიც უნდა ჰქონდეს ამგვარ ტურნირს, მას უთუოდ ბევრი სიკეთის მოტანაც შეუძლია, ამ ასპარეზობას კი ხარვეზები თითქმის არ ჰქონია. ასეთ ასპარეზობაში რესპუბლიკის მოწინავე გუნდების გამოსვლას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია. ტურნირში მონაწილე გუნდებს შეიძლება ისე დაემთავრებინათ საფეხბურთო კარიერა, რომ საერთოდ არ მისცემოდათ ერთმანეთთან შეხვედრის საშუალება. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამ ბევრ ნიჭიერ მოზარდს დაადგა თვალი ამ შეჯიბრების დროს... ტურნირი უფრო საინტერესოდ ჩაივლიდა, სარბიელზე რესპუბლიკის სხვა ტიტულოვანი გუნდებიც რომ გამოსულიყვნენ, მაყურებელიც ბევრად მეტი მოვიდოდა, შეხვედრებიც უფრო დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართებოდა.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ ხვდება ბათუმის „დინამო" ახალ, 1990 წლის საფეხბურთო სეზონს. გუნდმა მზადება თავის ქალაქში დაიწყო, სამედიცინო შემოწმების შემდეგ 14-დღიანი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ ბაკურიანში, სადაც აქცენტი გადატანილი იყო ფიზიკურ მომზადებაზე. 7 მარტამდე ბათუმში გავაგრძელებთ წვრთნას, შემდეგ გვინდა ლესელიძეში გავემგზავროთ, სადაც დაგეგმილი გვაქვს სპარინგ-მატჩები სხვადასხვა მეტოქეებთან, რაც გუნდის საბოლოო შემადგენლობის დაკომპლექტებაში დაგვეხმარება.

შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ ბათუმის „დინამო" დატოვეს ქვანიამ, კაკილაშვილმა, უგრეხელიძემ, მესხმა, აფციაურმა. ასეთი გამოცდილი ფეხბურთელების ნაცვლად დროის მცირე მონაკვეთში ღირსეული მოთამაშეების მოძებნა ძალზე ძნელია, მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომზადებული შევხვდეთ ახალ სეზონს.

გუნდს დაუბრუნდა ბათუმის მკვიდრი მეკარე მამრაშვილი, რომლის გამოცდილებაც, იმედია, დაეხმარება კოლექტივს. მოვიწვიეთ, აგრეთვე, თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი კუდინოვი, ძმები კაპანაძეები რუსთავის „მეტალურგიდან". გარკვეულ იმედებს ვამყარებთ ადგილობრივ საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებზეც. გუნდში ჩავრიცხეთ უჯმაჯურიძე, ჯიჯავაძე, შეყილაძე. მინდა ხაზი გავუსვა ერთ ფაქტსაც: ჩვენი გუნდი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული იქნება. მომავალი ფეხბურთელების ოსტატობაზე ბათუმის „დინამოს" ხვალინდელი დღე ბევრადაა დამოკიდებული. სწორედ მათმა აზრიანმა და გაბედულმა თამაშმა უნდა მოიზიდოს მაყურებელი, რომლის თანადგომას და მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით.

საუბარი ჩაიწერა
**ზაზა კახაძემ.**

## ფეხბურთის ახალი ამბები

### ნაკრები ემზადება

**იტალიაში** საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ქალაქ პორტენცაში მატჩი გამართა ადგილობრივ გუნდთან, რომელიც იტალიის ეროვნული ჩემპიონატის მესამე დივიზიონში გამოდის.

თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

### დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს

**ამ** დღეებში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა (კომიტეტს ხელმძღვანელობს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მოშკარკინი).

იმასთან დაკავშირებით, რომ არმიაში სამსახურის ვადა გაუთავდათ, კიევის „დინამოს" ფეხბურთელები ს. ბეჟენარი და ა. ნიკიფოროვი განთავისუფლებული არიან კლუბიდან და დაუბრუნდებიან თავიანთ გუნდებს. ს. ბეჟენარი ითამაშებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრში", ხოლო ა. ნიკიფოროვი — ოდესის „ჩერნომორეცში".



### კლუბი სახელს იცვლის

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი საფეხბურთო კლუბი ბერლინის „დინამო" ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ტურნირს, ეტყობა, ახალი სახელწოდებით დაიწყებს. ამ გუნდისთვის შერჩეულია რამდენიმე სახელწოდება, კერძოდ, „ალემანია", „ფორტუნა", „ოლიმპიკი".

### ტურნე აუკრძალეს

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ პორტუგალიის ცნობილ კლუბს „სპორტინგს" აუკრძალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოგზაურობა.

ამ კლუბის ხელმძღვანელობამ („სპორტინგი" პორტუგალიის ჩემპიონატში ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება) ფიფა-ს თხოვნა გაუგზავნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამგზავრებაზე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. საქმე ისაა, რომ კლუბმა ბოლო ხანებში რამდენიმე ძვირადღირებული ფეხბურთელი შეიძინა, ამაში საკმაო თანხა დახარჯა, მაგრამ ჩემპიონატში ჯერჯერობით ხეირიანად ვერ აქვს საქმეები. გარდა ამისა, პორტუგალიელები უეფა-ს თასის გათამაშებაში პირველივე ტურში გამოეთიშა ტურნირს, როცა დამარცხდა „ნაპოლისთან". „სპორტინგს" სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარებული ამხანაგური შეხვედრებით სურდა თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება.

გვთავაზობენ მკითხველები

## თავიდან ავიცილოთ შაბლონი

**გაზეთების** საშუალებით შევიტყვე, რომ ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდს „ტორპედოს" სახელი შეუცვალეს და „ქუთაისი" დაარქვეს.

რატომღაც გამახსენდა ძველი ნათქვამი, რომ ქართველ კაცს სადღეგრძელო არ გამოელევაო. მართლაც, განა ისეთი რა გაუჭირდათ ქუთათურებს, თავიანთ მშვენიერ გუნდს, რომ ქალაქის სახელი დაარქვეს? მართალია, უცხოური ფეხბურთის პრაქტიკაში მრავალი შემთხვევა ვიცით, როცა გუნდს ქალაქის სახელი ჰქვია, ასეთებია „ბარსელონა", „მილანი", „ლივერპული", „ბორდო", „პორტო" და სხვა მრავალი. მაგრამ სხვისი მაგალითი, თანაც უმგვანი რად გვინდა! რატომ არ უნდა დაერქმიათ ქუთაისელთა გუნდისთვის ლამაზი ქართული სახელი, ვთქვათ, „გელათი" ან „რიონი". განა ცუდი იქნებოდა?

ასეთი ტრადიცია თუ დამკვიდრდა, გვექნება „თბილისი", „ბათუმი", „სოხუმი", „ხაშური", „ზესტაფონი", „წყალტუბო" და სხვა მრავალი. ჩავცვივდებით უხეირო შაბლონში.

განა მოგეწონებათ, რომ „თბილისი" ეთამაშება „ქუთაისს", „ბათუმი" — „სოხუმს", „თელავი" — „გურჯაანს" და ა. შ. საქართველოში მუდამ გვაქვს საშუალება გამოვძებნოთ მოხდენილი, ისტორიული, ღირსეული სახელი, სწორედ ასეც უნდა მოვიქცეთ. ამიტომაც სანამ დროა ქუთაისელთა გუნდს უნდა შევარქვათ „გელათი" ან „რიონი".

**თენგიზ თომაძე,**
**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

## ლამაზი, მოხდენილი სახელები

**ბოლო** ხანებში ხშირად წერენ, რომ ჩვენს საფეხბურთო გუნდებს კეთილხმოვანი, ქართული, გამომსახველი სახელები დაერქვას.

ძველი გულშემატკივარი ვარ და მსურს ჩემი მოსაზრებაც გაგიზიაროთ. საქართველოს რამდენიმე გუნდს „დინამო" ჰქვია, ასეთებია: თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ზუგდიდის გუნდები. მაგრამ რატომ არ უნდა ვუწოდოთ თბილისის „დინამოს", ვთქვათ, „მთაწმინდა", ბათუმელთა კოლექტივს „აჭარა", სოხუმელებს „აფხაზეთი", ქუთაისელებს „გელათი" და ა. შ.

ჩემი აზრით, ეს გამართლებული იქნება და ყველა ქართველი გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩება.

**აკაკი ხოხიაშვილი,**
**სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი.**

## მარადონა გაძარცვეს

**უცხოეთის** სააგენტოები იუწყებიან, რომ ბუენოს-აირესში დიეგო მარადონას ბინიდან მოიპარეს „ოქროს ბურთი", სწორედ ის ძვირფასი პრიზი, რომლითაც ეს ფეხბურთელი დააჯილდოვეს მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში როგორც საუკეთესო ფეხბურთელი.

„ოქროს ბურთი" შეფასებულია 100 ათას შვეიცარიულ ფრანკად.

# პოლონური კეტბურთი სხვა სამოსში

ექო

**კეტბურთის** თამაში პოლონეთში ექვსი წლის წინ დაიწყეს, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვალდეს სზიმანსკიმ, პოლონეთის კეტბურთისა და სოფტბოლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ამას წინათ თბილისში დამთავრებული სება-ს კონგრესის მონაწილემ.

— დღეს 8 კლუბს შორის თამაშდება ქვეყნის პირველობა. ამაში დიდ დახმარებას გვიწევს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც გვამარაგებს სპორტული ფორმით, ხელთათმანებითა და კეტებით. ყოველ კლუბს ჰყავს 9-13 წლის მოთამაშეებისაგან შემდგარი ჭაბუკთა ნაკრებები. კადრების აღზრდაში გვეხმარებიან კუბელები. დღეს ჩვენს კლუბებში 4 იქაური მწვრთნელი მუშაობს. ბევრი პოლონელი გამოდის ამერიკის პროფესიულ კლუბებში. ორ მათგანს კი სიცოცხლეშივე ძეგლი აუგო ამერიკელმა გულშემატკივარმა. 2 წლის წინ პოლონეთში ვიზიტის დროს აშშ-ს ვიცე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიპატიჟა პოლონელ მოზარდთა გუნდი. დღეს ჩვენს 5 ქალაქში მოქმედებს ბავშვთა სექციები. სხვათა შორის, ჩვენში კეტბურთის ნაირსახეობას სოფტბოლს, ქალებიც თამაშობენ. გაისად ვაპირებთ ჩავებათ ევროპის ჩემპიონატში, მე-2 ჯგუფში, სადაც ჩვენთან ერთად იასპარეზებენ საბჭოთა და ჩეხი კეტბურთელებიც.

**● მოედნები თუ გაქვთ საკმაოდ?**

— როგორც მოგეხსენებათ, დღეს პოლონეთში მწვავე სიტუაციაა. ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. წესით, ჯერ ეკონომიკურად უნდა მოვმაგრდეთ და მერე სპორტში. ომის შემდეგ ხომ ჩვენთანაც და თქვენთანაც აკრძალული იყო სიტყვები კეტბურთი და კოკა-კოლა, დღეს კი... ერთ-ერთ სკოლაში განცხადება გავაკარით და მოკლე დროში 200-მდე პირველკლასელი ჩაეწერა სექციაში! მათზე ვამყარებთ იმედებს, ვინაიდან 25-26 წლის მოთამაშეს უკვე გაუჭირდება გახდეს პროფესიონალი.

**● თუ იცით რაიმე საქართველოზე?**



ვალდეს სზიმინსკი

— დედაჩემი საქართველოში დაიბადა! თბილისში ადრეც ვარ ნამყოფი, დედას წამოვყევი მეგობრების სანახავად. ისიც ვიცი, რა ხდება აქ, გითანაგრძნობთ და გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმეში. ახლაც, თვითმფრინავში დაგვემგზავრა სამი პოლონელი, რომლებიც ქართველი მეგობრების სანახავად მოდიოდნენ აქ.

ჩვენ და თქვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. კარგი იქნება, თუ საქართველო ისევე შეიყვარებს კეტბურთს, როგორც სპორტის სხვა სახეობებს და მომავალში მამაკაცების გვერდით ქართველი ქალებიც დაიწყებენ სოფტბოლის თამაშს, — აღნიშნა დასასრულს ვალდეს სზიმანსკიმ.

**თამუნა ჯიშკარიანი,**
**ფიზკულტურის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.**

## ა. ახალაძე — ნახევარფინალში

**სოფია.** აქ მიმდინარე იუნიორ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა ა. ახალაძემ დაამარცხა ბულგარელი ბ. დენჩევი 6:3, 2:6, 6:3. იგი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მეორე ბულგარელ ჩოგბურთელს ა. რადევს შეხვდება.

გოგონათა ტურნირის მეოთხედფინალში თბილისელი ვ. თუხარელი დამარცხდა ჩეხოსლოვაკიელ ა. სტიუშკოვასთან — 3:6. 1:6.

### ტელეტაიპი — მკითხველს

**მადრიდი.** მსოფლიოს ექსჩემპიონმა ველოსპორტში უვე რააბმა (გდრ) თავი გამოიჩინა ესპანეთის ქალაქ ალბასეტში გამართულ ჯგუფურ რბოლაში. პროფესიონალებში გადასულმა ველოსიპედისტმა 154 კილომეტრიანი ტრასა 3:36.29-ში დაფარა და გაუსწრო ბევრ ცნობილ სპორტსმენს, მათ შორის ირლანდიელ შინ კელის.

**ნიუ-იორკი.** ნჰლ-ს ჰოკეისტთა პროფესიული ლიგის ჩემპიონატში გუნდებს ჩატარებული აქვთ 59-60 თამაში. „ადამსის" ჯგუფში ლიდერია „ბოსტონ ბრიუინზი" — 73 ქულა, „სმითის" ჯგუფში — „კალგარი ფლეიმზი" — 71 ქულა. „ნორისის" ჯგუფში — „ჩიკაგო ბლექ ჰოუკსი" და „სენტ-ლუის ბლიუზი" 66-66 ქულა.

**პრედაცო** (იტალია). „მფრინავ მოთხილამურეთა" მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი მოიგო 18 წლის სავსებით უცნობმა იტალიელმა რობერტო ჩეკონმა. 90 მეტრიან ტრამპლინზე მან 91 და 86,5 მეტრიანი ნახტომები განახორციელა და 220,5 ქულა დააგროვა. უძლიერესთა ათეულში მოხვდა ორი საბჭოთა მოთხილამურე — ალმა-ათელი ანდრეი ვერვეიკინი (V ადგილი) და გორკელი პავლე კუსტოვი (VIII-IX ადგილი). საერთო ჩათვლაში კვლავ წინაა ავსტრიელი ერნსტ ვეტორი. ვერვეიკინი მე-16 ადგილზეა, კუსტოვი კი — 28-ზე.

**პარიზი.** ხმელთაშუაზღვისპირეთის ველორბოლის მეორე ეტაპზე (პროფესიონალებს შორის) გამარჯვება მოიპოვა ფრანგმა რონან პანსეკმა. 116 კმ. მან 3:36.29-ში დაფარა. ამ გამარჯვებით პანსეკმა ხელთ იგდო ლიდერობა.

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# მასპინძლობს გორი!

**გორი** გამორჩეული ადგილია საქართველოს საჭადრაკო კომპოზიციის გეოგრაფიულ რუკაზე. მის წარმომადგენლებს არაერთი ღირსშესანიშნავი სპორტული წარმატება ჰქონიათ საკომპოზიციო ასპარეზზე. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საბჭოთა კავშირის და საქართველოს ჩემპიონი, თანამედროვეობის გამოჩენილი პრობლემისტი და ეტიუდისტი, საერთაშორისო დიდოსტატი იოსებ კრიხელი, რომლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართული საჭადრაკო ხელოვნების უძვირფასეს განძს წარმოადგენს. მისი დახმარებით შეიყვარეს კომპოზიცია მოჭადრაკეებმა შ. თოთლაძემ, დ. კევლიშვილმა, გ. კუთარაშვილმა, ვ. დადიანიძემ. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ გასულ წელს გორის სპორტის მესვეურებმა და ი. კრიხელის ნიჭის თაყვანისმცემლებმა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კონკურსი მოაწყვეს, რომლის შედეგებსაც მალე ვიხილავთ ჩვენი გაზეთის საჭადრაკო დამატება „მერანში".

საქართველოს ჩემპიონი გორელი პედაგოგი შერგილ სუხიტაშვილი ფართო დიაპაზონის შემოქმედია და თითქმის ყველა საამოცანო ჟანრში ხელეწიფება მუშაობა. მისი უკანასკნელი ნამუშევრების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ოსტატობის მწვერვალებისკენ მიმავალი გზა სულ უფროდაუფრო მოკლდება და მისგან ახალ წარმატებებს უნდა ველოდეთ. ქვემოთ მოყვანილი ამოცანა, რომელმაც რუმინული ჟურნალის „რევისტა რომანა დე შახის" წლიურ კონკურსზე I პრიზი მიიღო, უკანასკნელ „ფიდეს ალბომში (1980-82 წწ.)" არის შესული.

**შ. სუხიტაშვილი, 1980**



შამათი 2 სვლაში

თემატური მცდარი კვლები: 1. ლg3? (2. ეe5X) კ:e2 (ეტლის დაბმა) 2. ლh3X (ლაზიერის დაბრუნება), მაგრამ 1. ...კ:g7! და ამოცანა არ იხსნება. თუ 1. ეf5? (2. კf7X) კ:e2+ 2. ეh5X (ეტლის დაბრუნება), მაგრამ. 1. ...მ:h6! თუ 1. მეf5? კ:e2 2. მe7X (მხედრის დაბრუნება), მაგრამ 1. ...კ:d6! ამოცანას ხსნის: 1. მhf5! კ:e2 2. მh4X (მეორე მხედრის დაბრუნება) ოთხ ფაზაში (სამი მცდარი კვალი და ერთი ნამდვილი თამაში) შესანიშნავად განხორციელებული „ფიგურის დაბრუნების" თემა.

გორელებისათვის კარგად ცნობილი მწერალი ვაჟა დადიანიძე, რომელიც ბატონმა იოსებმა აზიარა კომპოზიციას, რამდენიმე საყურადღებო და ლამაზი საჭადრაკო ამოცანის ავტორია. მისი ერუდიცია, ნიჭი და საშემსრულებლო უნარი გვაფიქრებინებს, რომ შემდგომი გულმოდგინე და მიზანსწრაფული მუშაობის შედეგად საქართველოს მისი სახით მაღალი კლასის პრობლემისტი ეყოლება.

**ი. კრიხელი, ვ. დადიანიძე, 1966**



ნადიშამათი 6 სვლაში

ამ ოთხფიგურიან ამოცანას ორი ამოხსნა (ნეიმანის ფორმა) აქვს: 1. 1. მფf5 მg3+ 2. მფg4 მe2 3. მფh3 მფd2! (ტემპი!) 4. მფh2 მფe1 5. მფh1 მფf1 (ზუსტად და დროულად!) 6. ეh2 მg3X იდეალური (ე. ი. სანიმუშო, გამონაკლისი პირობების გარეშე) შამათი. მეორე ამოხსნა კი თქვენ მოძებნეთ ძვირფასო მეგობრებო! შეგახსენებთ, რომ მისი შამათი პირველის ექოსურათს წარმოადგენს. კლასიკური ნაწარმოებია!

ახლა კი გორელთა მეტად საინტერესო და მისასალმებელი წამოწყების შესახებ, რომელიც იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეს ეძღვნება. ცხადდება **რესპუბლიკური კონკურსი საჭადრაკო ამოცანების შედგენაში:** ა) ორსვლიანები, ბ) სამსვლიანები, გ) მრავალსვლიანები, დ) ორსვლიანი ამოცანები ნადიშამათზე, ე) 4-5-6-სვლიანები თვითშამათზე. ყოველ მონაწილეს შეუძლია თითოეულ საამოცანო ჟანრში წარსდგეს არაუმეტეს სამი ორიგინალური (ადრე გამოუქვეყნებელი) ნაწარმოებით. ისინი (2-2 ცალად) დიაგრამაზე დახატული და სრული ამოხსნით უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: 383500, გორი, ცაბაძის ქ. 5. საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილებას. კონვერტზე წარწერით: „იაკობი-150". მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა ა. წ. 1 ივნისი. მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი ი. ვლადიმიროვი (მოსკოვი), გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები, საპატიო და საქები შეფასებები.

გორი ელის საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა საკონკურსო ნაწარმოებებს!

### ამოხსნა

„ლელოს" 10 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი ვ. კალანდაძის სამსვლიანი ამოცანა ნადიშამათზე შემდეგნაირად იხსნება: ა) 1. ლf5 მფb2 2. მფe5 მფc3 3. ეe6 ლd4X, ბ) 1. ლc5 მფg2 2. მფd5 მფf3 3. ეd6 ლe4X. ექო-შამათები. პირველი ამომხსნელები იყვნენ: ნ. და რ. კახიძეები (ბათუმი), მერი და ა. ჩაფიჩაძეები, ზ. ცინცაძე (ყველა — თერჯოლა).

14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ვ. შპეკმანის სამსვლიანი ტყუპი ამოცანის ამოხსნაა: ა) I 1. f8მ+ მფd8 2. მფc6, II. 1. ეf6 მფe7 2. f8ლ+; ბ) I. 1. f8კ მფd8 2. მფc6, II. 1. f8ე მფd6 2. ეf5. პაიკის მაქსიმალური ოთხჯერადი გაცოცხლება — რეკორდული ჩანაფიქრი! ამოხსნა პირველებმა გამოგზავნეს: მ. ყოჩიაშვილმა (რუსთავი), გ. ელიოსიძემ (ბორჯომი), მ. ნიქაცაძემ, ი. ბაბუაძემ, ა. მიშველაძემ, ნინო და ა. ღირსიაშვილებმა, ო. მამულაშვილმა, ვ. შავგულიძემ (ყველა — თბილისი).

## სპეცოლიმპიადები — სპორტის [illegible]

„გამარჯვებისაკენ ვისწრაფი, მაგრამ რომც არ მოვიპოვო იგი, დაე მეყოს გამბედაობა ამის ცდისა" — ესაა სპეციალური ოლიმპიური თამაშების მონაწილის საზეიმო ფიცი, რომელიც ამიერიდან საბჭოთა კავშირის სტადიონებზე გაისმება. როგორც სპეციალური ოლიმპიური თამაშების ჩატარების კომიტეტის პრეზიდენტმა სარჯენტ შრაივერმა ვაშინგტონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, სსრ კავშირმა სპეცოლიმპიადების პროგრამაში მონაწილეობის თანხმობა განაცხადა. 23-28 თებერვალს სოხუმში გაიმართება სსრ კავშირის ეოკ-ის სპეციალური სემინარი, რომელზეც განიხილავენ საკითხებს გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისა და მოზრდილთათვის სპორტული ასპარეზობის მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

სწორედ მათთვის — ბედისგან დაჩაგრული ხალხისათვის ტარდება ეს თამაშები, რომლის კეთილშობილური მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სპორტის მშვენიერ სამყაროს აზიარონ. სპეცოლიმპიადების საერთაშორისო კომიტეტმა შეიმუშავა განსაკუთრებული წესები შეჯიბრების ჩატარებისა, რომელიც ზამთრის და ზაფხულის 22 სახეობაში გაიმართება. „ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა — თქვა ს. შრაივერმა, — გონებრივად ჩამორჩენილთ ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის. განსაკუთრებით კმაყოფილი ვართ, რომ სპორტულ სამყაროში ისეთმა ცნობილმა ორგანიზაციამ, როგორიც სპორტსახკომია, სპეცოლიმპიადების პროგრამების ერთობლივი შემუშავების თანხმობა მოგვცა".

სპეცოლიმპიადებში მონაწილეთათვის ასაკობრივი შეზღუდვა არ იქნება. მასში მონაწილეობა შეუძლიათ ბავშვებსა და მოზრდილებს. ყველაზე ახალგაზრდა 8 წლისაა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა ბოულინგში, 82-საა. შენაწირებისა და შესატანების ხარჯზე ხდება თამაშების დაფინანსება.



თამაზ ქიქავას ფოტო.

1990 — ცხენის წელიწადი!

### იუმორი





ჟურნალ „სტადიონიდან"

(ჩეხოსლოვაკია)

# ორიგინალობას თუ...

**დასავლეთგერმანულ** ჟურნალ „სპორტ-ბილდში" გამოქვეყნდა კოლუმბიის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ფრანსისკო მატურანას საუბარი ადგილობრივ ჟურნალისტებთან. იგი ძირითადად მომავალ მსოფლიო პირველობას ეხება.

● **რა იცით დასავლეთგერმანული ფეხბურთის შესახებ?**

— ყველაფერი! ვესწრებოდი 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩებს, ვნახე მასპინძელთა ყველა თამაში. კარგად ვარ გარკვეული ამ გუნდის თავისებურებებში.

● **თქვენი აზრი ამ ქვეყნის ნაკრებზე?**

— ვიცნობ ფრანც ბეკენბაუერის კონცეფციას და სათამაშო გეგმებს. დარწმუნებული ვარ, რომ მისი ქვეშევრდომები ამ გეგმებს ვერ განახორციელებენ. ევროპის ბოლო პირველობაზე გერმანელთა გამარჯვებები მხოლოდ ბრძოლისუნარიანობასა და ძალას ემყარებოდა.

● **ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო გერმანელ მოთამაშედ?**

— მათეუსი. ფიოლერ-კლინსმანის დუეტიც მსოფლიო ელიტას განეკუთვნება. მომწონს ოლაფ ტონიც.

● **ეს უკანასკნელი ბოლო დროს აღარ ჩანს ნაკრებში.**

— ბეკენბაუერს აქვს თავისი აზრი.

● **რას ფიქრობთ თქვენს ჯგუფზე?**

— იტალიაში მივემგზავრებით, რათა ჩემპიონობა მოვიპოვოთ...

● **სწორედ გაგიგეთ?**

— სასაცილო არაფერია. გვინდა პირველობა მოვიგოთ, გარწმუნებთ გფრ-სა და იუგოსლავიაზე სუსტები ნამდვილად არა ვართ.

● **თქვენი გუნდიდან საზღვარგარეთ მხოლოდ ვალდერამა თამაშობს. არგენტინა, ურუგვაი და ბრაზილია კი უცხოეთში მოთამაშე „ვარსკვლავებითაა" დაკომპლექტებული. რატომ?**

— ესეც სავსებით ლოგიკურია. კონტინენტის ყველა უძლიერესი ფეხბურთელი კოლუმბიაში თამაშობს. იმიტომ, რომ ბოგოტაში და მედელინში ყველაზე დიდი ხელფასებია. ჩვენში მოთამაშე ფეხბურთელები უფრო ძვირად ფასობენ, თანაც არა გვაქვს ფეხბურთელებით ვაჭრობის ისეთი ტრადიციები, როგორც სხვებს.

● **იტალიის პირველობა შეცვლის სიტუაციას?**

— შესაძლოა ჩვენი გუნდი მთლიანად გაიყიდოს. ბიჭები იტალიაში ყველაფერს გააკეთებენ რომ მეტი ფასი დაიდონ.

● **თქვენი თანამემამულე ხოსე გრუეხკო, რომელიც „შტარნბერგს" წვრთნის უკვე დებს სანაძლეოს, რომ კოლუმბია დაამარცხებს გფრ-ს. თუ იცით ამის შესახებ?**

— ბუკმეკერთა საქმეში არ ვერევი.

● **რომელ დასავლეთგერმანელ ფეხბურთელს მიიწვევდით თქვენს ნაკრებში?**

— არც ერთს.

● **წვრთნით ნაკრებს და კლუბ „ნასიონალს", თან კბილის ექიმი ხართ, როგორ გყოფნით დრო ყველაფრისთვის?**

— თუ ჩემს პროფესიულ დონეში შეგაქვთ ეჭვი, შემიძლია აქვე ამოგიღოთ კბილი. რაც შეეხება ფეხბურთს, 1990 წლიდან მხოლოდ ნაკრებთან ვმუშაობ.

● **ვინ მიგაჩნიათ ფავორიტად იტალიაში, ცხადია კოლუმბიის გარდა?**

— საბჭოთა კავშირის ნაკრები. იგი ყველაზე თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, ამიტომაც მომწონს.

(საქ. ინფ.)

რედაქტორის მოადგილე
უ. ჟიჟინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
ტელეგრამებისათვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხელმძღვანელი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-20, „ჩოგბურთი" — 93-97-97.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 30.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743